პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 176 (3660)

7 1968 წ. სექტემბერი, შაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

## მხოლოდ მესამეზე...

მაჟეიკიაი, 6 სექტემბერი (დეპეშით). დამთავრდა სსრ კავშირის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I თამაშების პროგრამით გათვალისწინებული ხელბურთელ ვაჟთა ფინალური ტურნირი. ჩემპიონობისთვის მებრძოლთა ჯგუფში საქართველოს გუნდს მეორე და გადამწყვეტი მატჩი ესტონელებთან ჰქონდა. მათ კარგად დაიწყეს და პირველი ნახევარი თავიანთ სასარგებლოდაც (9:7) დაამთავრეს, მაგრამ მონაპოვარი ხელიდან გაუშვეს მეორე ტაიმში და საბოლოოდ მოედანი დამარცხებულებმა დატოვეს 15:18.

ამრიგად, ჩემპიონობა წილად ხვდა რსფსრ-ს კოლექტივს. ესტონეთის გუნდი მეორე ადგილზე გავიდა, III ადგილი საქართველოს გუნდმა მოიპოვა. მომდევნო ადგილებზე არიან ლიტვა, უკრაინა, ბელორუსია, ყირგიზეთი, ლატვია, სომხეთი, მოლდავეთი, აზერბაიჯანი და თურქმენეთი.

ჯ. ენუქიძე, (ჩვენი სპეც. კორ.)



თბილისში, საქართველოს სპორტკავშირის ზამთრის აუზში გრძელდება „ა" კლასის პრეტენდენტთა ტურნირი წყალბურთში. ს უ რ ა თ ზ ე: ლენინგრადისა და ალმა-ათის „ბურევესტნიკის" გუნდების მატჩის მომენტი.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

## ახალი ამბები საკეთილოდ

◆ მეხიკო, 6 სექტემბერი. ოლიმპიადის პერიოდში მისი მონაწილეები შეჭამენ 778 ტონა საქონლისა და ფრინველის ხორცს, თევზს, დალევენ 1.200.000 ბოთლ რძეს, მიიღებენ 1.200.000 საუზმეს, სადილსა და ვახშამს. ოლიმპიურ სოფელში იმუშავებენ რესტორნები, რომლებიც გაითვალისწინებენ მონაწილეთა გემოვნებას. აქ დაამზადებენ ლათინურამერიკულ, ევროპულ, აფრიკულ, აზიურ და ინგლისურ კერძებს.

◆ კატმანდუ, 6 სექტემბერი. ნეპალმა გადაწყვიტა არ გაგზავნოს მეხიკოში თავისი სპორტსმენები. ამ ქვეყნის სპორტის ეროვნული საბჭო ამ ამბავს ადგილობრივ სპორტსმენთა ოსტატობის დაბალი დონით ხსნის.

◆ ბაღდადი, 6 სექტემბერი. ერაყი მექსიკაში გაგზავნის გუნდს 17 სპორტსმენის შემადგენლობით. ამ რიცხვში შევა ის ორი სპორტსმენი, რომლებიც აშშ-ს კოლეჯებში სწავლობენ. გუნდში იქნებიან მძლეოსნები, მოკრივეები, ძალოსნები, მოჭიდავეები და ველოსიპედისტები.

◆ კამპალა, 6 სექტემბერი. ემზადებიან რა მეხიკოს თამაშებისთვის, ინდოეთის ბალახის ჰოკეის ნაკრები ტურნეს ატარებს უგანდაში. სტუმრებმა ჭერჭეროებით ყველა მატჩი მოიგეს. ბოლო შეხვედრაში „რამგარაი სიკ სპორტკლუბთან" ინდოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 8:0.

◆ ტოკიო, 6 სექტემბერი. იაპონიის რადიომაუწყებლობის კორპორაციას „ენ-ეიჩ-კეი" გადაწყვეტილი აქვს ოლიმპიადის ბატალიების ტელევიზიით გადაცემისას გამოიყენოს კავშირგაბმულობის თანამგზავრი. ყველაზე დიდი იქნება თამაშების გახსნისა და დახურვის რეპორტაჟი (2 საათამდე). ყოველდღიური გადმოცემების ხანგრძლიობა 2 საათი იქნება.

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

## გუშინ...

მოსკოვში გაიმართა „ა" კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამო" და ტაშკენტის „პახტაკორი". მატჩი დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით — 1:0. ბურთი საკუთარ კარში გაიტანა იუნუსოვმა.

„ა" ჯგუფი I

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 7 სექტემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 28 | 17 | 9 | 2 | 43—17 | 43 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 25 | 15 | 5 | 5 | 41—26 | 35 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 26 | 12 | 10 | 4 | 40—21 | 34 |
| „დინამო" (მინსკი) | 26 | 12 | 8 | 6 | 29—21 | 32 |
| ცსკა | 25 | 12 | 7 | 6 | 31—21 | 31 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 28 | 12 | 7 | 9 | 36—27 | 31 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 25 | 10 | 10 | 5 | 27—20 | 30 |
| „დინამო" (თბილისი) | 25 | 10 | 9 | 6 | 29—16 | 29 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 26 | 10 | 9 | 7 | 36—31 | 29 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 26 | 7 | 11 | 8 | 23—32 | 25 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 26 | 7 | 10 | 9 | 20—26 | 24 |
| ასკ (როსტოვი) | 26 | 8 | 7 | 11 | 33—36 | 23 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 26 | 7 | 9 | 10 | 17—20 | 23 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 26 | 7 | 8 | 11 | 24—34 | 22 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 27 | 7 | 8 | 12 | 15—32 | 22 |
| „არარატი" (ერევანი) | 25 | 7 | 5 | 13 | 23—34 | 19 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 27 | 5 | 8 | 14 | 20—32 | 18 |
| „ქაირატი" (ალმა-ათა) | 25 | 5 | 7 | 13 | 17—28 | 17 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 26 | 5 | 7 | 14 | 26—47 | 17 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 26 | 4 | 8 | 14 | 15—30 | 16 |

## თ. ლეკვეიშვილმა ვერცხლიც მოიპოვა

წახკაძორი, 6 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დამთავრდა მოცურავეთა საკავშირო ჩემპიონატი. ოლიმპიური გუნდის ხელმძღვანელობა შედეგებით უკმაყოფილო როდია. ამ შეჯიბრებაში სსრ კავშირის რეკორდები არ დამყარებულა, მაგრამ მეხიკოს საგზურის მაძიებლებმა მაღალმთიანი აუზისთვის საკმაოდ კარგი შედეგები მოიპოვეს. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ მაჩვენებლები უკეთესი იქნებოდა, ტურნირი უფრო წარმომადგენლობითი რომ ყოფილიყო.

თბილისელი თინა ლეკვეიშვილის გამარჯვება 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში შემთხვევითი რომ არ იყო, ეს 200-მეტრიან დისტანციაზეც დადასტურდა. ნახევარფინალში თინამ ყველაზე კარგი შედეგი (2.36,7) აჩვენა. ფინალში ეს მაჩვენებელი 0,4 წამით გააუარესა, მაგრამ ვერცხლის მედალი მაინც დაისაკუთრა. ნაკრების დებიუტანტისთვის ერთ ჩემპიონატში ორი მედალი მნიშვნელოვანი ნადავლია.

მეორე გამარჯვება იზეიმა მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა ლ. ილიჩოვამ. 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მისი მთავარი მეტოქე გახლდათ თანაქალაქელი ს. ბელიც-გეიმანი. მართალია, თავიდანვე ევროპის რეკორდსმენი ილიჩოვი დაწინაურდა, მაგრამ უხეირო მობრუნების გამო ჩამორჩა და მთელი ძალების დახარჯვა დასჭირდა, რომ ფინიშამდე მდგომარეობა გამოესწორებინა. საბოლოოდ ორივემ ერთდროულად (1.59,9) დაამთავრა ასპარეზობა. გამარჯვებული ვიდეომაგნიტოფონმა გამოავლინა: ილიჩოვი ოდნავ ადრე შეეხებია ფინიშის კედელს.

ბელიც-გეიმანმა 1500 მეტრზე ასპარეზობაც წააგო. ამჯერად იგი ვ. ბურდამ (მოსკოვი) დაამარცხა. აქ მესამე გახლდათ ა. იოაკიმიდი (თბილისი). იმის გამო, რომ 200 მ ბატერფლაით ცურვისას წინასწარ ტურნირში საკვალიფიკაციო ნორმატივი ტ. დევიატოვას გარდა ვერავინ შეასრულა, ფინალში უკონკურსოდ დაუშვეს კომპლექსური ცურვის ოსტატი ლ. ზახაროვა და ერევნელი ზ. პროხოროვა. რა თქმა უნდა, გამარჯვება დევიატოვას დარჩა.

ჩემპიონატის ტექნიკური შედეგები ასეთია: **ქალები. 100 მ ბატერფლაი** — ტ. დევიატოვა (ხარკოვი) — 1.06,9, ლ. ზახაროვა (პერმი) — 1.08,2, ს. პროხოროვა (უკონკურსოდ) — 1.22,0; **200 მ თავისუფალი სტილი** — თ. სოსნოვა (მოსკოვი) — 2.20,3, ნ. უსტინოვა (ტაშკენტი) — 2.21,2, ლ. გრებეცი (პოლტავა) — 2.23,2; **200 მ ბრასი** — პროზუმენშჩიკოვა — 2.43,0, ა. გრებენიკოვა (ორივე — მოსკოვი) — 2.47,4, ს. ბაბანინა (ტაშკენტი) — 2.48,5; **200 მ გულაღმა** — ტ. საველიევა (ლენინგრადი) — 2.35,5, თ. ლეკვეიშვილი — 2.37,0, ლ. ბურბელო (ლენინგრადი) — 2.38,0; **400 მ კომპლექსური ცურვა** — ლ. ზახაროვა — 5.32,9, ლ. ხაზიევა (ხარკოვი) — 5.37,3, ს. ზარშჩიკოვა (ვოლჟსკი) — 5.58,6.

**ვაჟები. 100 მ ბატერფლაი** — ვ. ნემშილოვი (ლვოვი) — 58,7, ა. სუზალცევი — (ასტრახანი) — 59,3, ი. გორდეევი (ლენინგრადი) 59,7; **200 მ ბრასი** — ე. მიხაილოვი (პოლტავა) — 2.30,0, ვ. კოსინსკი (ლენინგრადი) — 2.33,6, ა. მორჩუკოვი (სმოლენსკი, უკონკურსოდ) — 2.34,3, ი. პოდოპრიგორა (ლვოვი)—2.37,0; **200 მ გულაღმა** — ლ. დობროსკოკინი (ვოლჟსკი) — 2.15,8, ვ. ფილიმონოვი — 2.17,3, ვ. დავიდოვი (ორივე — მოსკოვი) — 2.18,2; **400 მ კომპლექსური ცურვა** — ვ. კრავჩენკო — 5.03,4, ა. ნოვოსელოვი (ორივე — მოსკოვი) — 5.05,5, ვ. პარტიკა (კრამატორსკი) — 5.07,0.



წყალქვეშა სპორტში ევროპის მეორე ჩემპიონატის მონაწილეებმა იალტაში ოქროს მედლები გაითამაშეს წყალქვეშ სიგრძეზე სწრაფყვინთვაში. (ქალები 25 მეტრზე ცდილნენ ძალებს, ხოლო ვაჟები 40 მეტრზე). ქალთა შორის გაიმარჯვა ს. მენშიკოვამ. II ადგილზეც საბჭოთა სპორტსმენი ვ. კუზნეცოვაა. III ადგილი წილად ხვდა უნგრელ ც. ხალაის. ვაჟებში სამივე საპრიზო ადგილზე საბჭოთა სპორტსმენები გავიდნენ: ი. კომპუსი, ს. ტარასოვი, ე. კოვალევსკი.

ს უ რ ა თ ზ ე: შეჯიბრების მომენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ლოკომოტივი“ — ფინალში

## სსრ კავშირის პირველობა რეგბიში

**მოსკოვი, 6 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** როგორც ვიუწყებოდით, მოსკოვსა და ლენინგრადში დაიწყო სსრ კავშირის პირველი ჩემპიონატი რეგბიში. მოსკოვის ქვეჯგუფში თბილისის „ლოკომოტივს“ პირველი შეხვედრა კაუნასის „პოლიტექნიკთან“ ჰქონდა. ამ მატჩის ანგარიში ცნობილია ქართველი სპორტის მოყვარულებისთვის. მაგრამ მათ არ იციან, რომ თავიდანვე კაუნასელები დაწინაურდნენ და პირველი ნახევარი მათი გამარჯვებით დამთავრდა 3:0. მეორე ტაიმის მე-5 წუთზე ღვინიაშვილმა გაათანაბრა ანგარიში, მე-10 წუთზე კი ხარშილაძემ და მიქაბერიძემ იგი 8:3-მდე აიყვანეს. ტაიმის 25-ე წუთზე დავითაიამ კარგად განახორციელა გარღვევა და გუნდს სამქულიანი გოლი მოუტანა. ლიტველებმა ბოლო წუთზე მოახერხეს ანგარიშში სხვაობის შემცირება. საბოლოოდ 11:6 თბილისელთა სასარგებლოდ.

ამ დღეს საქართველოს ჩემპიონი ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: კირტავა, ბენიაშვილი, გოგორიშვილი, ფაჯიშვილი, დავითაია, ყიფიანი, მგელაძე, რაფავა, ხარშილაძე, კვინიხიძე, მიქაბერიძე, ღვინიაშვილი, გეგეშიძე, ხაჯაპურიძე, ჯაფარიძე, კორნეევი.

მეორე მატჩი ჩვენებს მოსკოვის ი. გაგარინის სახელობის აკადემიის გუნდთან ჰქონდათ. ამ გუნდმა შეხვედრა მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივთან წააგო და ფინალში გასვლისთვის მხოლოდ მოგება შეელოდა. მაგრამ მატჩის მოგება იძლევდა ხელს თბილისელებსაც, ამიტომაც მეტოქეებმა შეხვედრა თავგანწირვით, სწრაფ ტემპში დაიწყეს.

საბოლოოდ გაიმარჯვა „ლოკომოტივმა“ 9:6. მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის გუნდთან შეხვედრის შედეგის მიუხედავად თბილისელებს განალდებული აქვთ იმ კვარტეტში მონაწილეობის უფლება, რომელმაც ვორონეჟში უნდა გაარკვიოს პრიზიორების საბოლოო ვინაობა.

მოსკოველებთან შეხვედრაში განსაკუთრებით ისახელა თავი კვინიხიძემ. მან ჯერ მეტოქის ჩასათვლელ მოედანზე დადო ბურთი, შემდეგ საჯარიმოთი ანგარიში 6:0-მდე აიყვანა. ბოლოს კი ხარშილაძემ გადამწყვეტი უპირატესობა მოუტანა თბილისელებს.

მორიგი გამარჯვება იზეიმა მოსკოვის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის კოლექტივმა. მეორე ტურში მან კაუნასის „პოლიტექნიკს“ მოუგო 18:0.

ლენინგრადში, სადაც დანარჩენი ოთხი გუნდი იბრძვის ფინალის საგზურებისთვის, პირველი ტურის შედეგები ასეთია: „დინამო“ (მოსკოვი) — „დინამო“ (ერევანი) 23:12, „დინამო“ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 6:12. აქ მეორე ტურის მატჩები დღეს ტარდება.



რუსთაველის კულტურისა და დასვენების პარკში ყოველთვის ხალხმრავლობაა. განსაკუთრებით ეტანებიან სპორტულ მოედნებს, სადაც ხშირად იმართება ხოლმე ასპარეზობანი. პარკში არის კალათბურთის, ფრენბურთის, მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო ადგილები, საჭიდაო სარბიელი. დიდ ინტერესს იწვევს მოჭიდავეთა შერკინება. დიდი თუ პატარა ერთნაირი გატაცებით ადევნებს თვალს ქართული ჭიდაობის ილეთების მოხდენილად გამოყენებას ვაჟკაცების მიერ.

ს უ რ ა თ ზ ე: ჭიდაობის ერთ-ერთი მომენტი.

ფოტო რ. გაბრიჭიძისა.

# დღეს იწყება

ჩვენს წინაა ხელბურთელ ვაჟთა სსრ კავშირის VII ჩემპიონატის I წრის საბოლოო ცხრილი. მკითხველისთვის უკვე ცნობილია, რომ პირველ რვა ადგილზე გასული გუნდები ორ წრედ გაითამაშებენ პირველობას და მხოლოდ ამის შემდეგ შევიტყობთ პრიზიორთა ვინაობას. გარკვეულია მდგომარეობა მხოლოდ ოთხი გუნდისა, რომელთაც IX-XII ადგილები დაიკავეს. ესენი არიან: „პოლიტექნიკი“ (მინსკი), ასკ (ლვოვი), „ბურევესტნიკი“ (ტაშკენტი) და ასკ (ბაქო). აქედან პირველი ორი გაისადაც „ა“ კლასის I ლიგაში ითამაშებს, დანარჩენ ორს კი „ა“ კლასის II ლიგაში მოუწევს გამოსვლა. აი, ცხრილში სწორედ ამიტომ გამოვყავით ერთმანეთისაგან I-VIII, IX-X და XI-XII ადგილებზე გასული გუნდები.

როგორც აღვნიშნეთ, ცხრილის ზედა 8 სტრიქონზე მოხვედრილი გუნდები ორ წრედ გაითამაშებენ ჩემპიონატს და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა ჩემპიონობის ბედი. ამ გუნდების დაგროვილი ქულები სათვალავში შედის. ცხრილიდან ჩანს, რომ თბილისის „ბურევესტნიკს“ არც თუ სახარბიელო მდგომარეობა აქვს: თბილისელებმა მხოლოდ 11 ქულა დააგროვეს და კრასნოდარელ თანაკლუბელებთან ერთად V-VI ადგილებს იყოფენ. დასკვნითი ტურნირის I წრე ამ რვა გუნდს შორის დღეს, 7 სექტემბერს იწყება კაუნასში. დასკვნითი ტურნირის II წრის თამაშების გამართვა განზრახულია თბილისში 2-10 ოქტომბერს.

ქვემოთ გთავაზობთ ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის I წრის საბოლოო ცხრილს.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოსკოვის საავიაციო ინსტ. | 11 | 10 | 1 | 0 | 260—195 | 21 |
| „კუნცევო“ (მოსკოვი) | 11 | 8 | 2 | 1 | 234—177 | 18 |
| „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) | 11 | 6 | 1 | 4 | 222—198 | 13 |
| ასკ (კიევი) | 11 | 5 | 2 | 4 | 175—200 | 12 |
| „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი) | 11 | 5 | 1 | 5 | 208—195 | 11 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 11 | 5 | 1 | 5 | 192—196 | 11 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 11 | 5 | 0 | 6 | 241—241 | 10 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 11 | 5 | 0 | 6 | 203—221 | 10 |
| „პოლიტექნიკი“ (მინსკი) | 11 | 3 | 3 | 5 | 231—257 | 9 |
| ასკ (ლვოვი) | 11 | 4 | 0 | 7 | 208—232 | 8 |
| „ბურევესტნიკი“ (ტაშკენტი) | 11 | 3 | 1 | 7 | 229—244 | 7 |
| ასკ (ბაქო) | 11 | 0 | 2 | 9 | 169—213 | 2 |

მოგვყავს კაუნასის ტურნირის მონაწილე გუნდების გათამაშების განრიგი:

7 სექტემბერი — „ალუმინსტროი“ (ზაპოროჟიე) — ასკ (კიევი), „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ბურევესტნიკი“ (კრასნოდარი), მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი — „კუნცევო“ (მოსკოვი), „დაუგავა“ (რიგა) — „ჟალგირისი“ (კაუნასი).

8 სექტემბერი — ასკ — „დაუგავა“, საავიაციო ინსტიტუტი — „ალუმინსტროი“, „კუნცევო“ — „ბურევესტნიკი“ (კრ.), „ჟალგირისი“ — „ბურევესტნიკი“ (თბ).

9 სექტემბერი — „ბურევესტნიკი“ (თბ) — ასკ, „დაუგავა“ — საავიაციო ინსტიტუტი, „ალუმინსტროი“ — „კუნცევო“, „ბურევესტნიკი“ (კრ) — „ჟალგირისი“.

10 სექტემბერი — დასვენების დღე.

11 სექტემბერი — „ალუმინსტროი“ — „დაუგავა“, „ასკ — „ბურევესტნიკი“ (კრ), საავიაციო ინსტიტუტი — „ბურევესტნიკი“ (თბ), „კუნცევო“ — „ჟალგირისი“.

12 სექტემბერი — „კუნცევო“ „დაუგავა“, „ბურევესტნიკი“ (თბ) — „ალუმინსტროი“, „ბურევესტნიკი“ (კრ.) — საავიაციო ინსტიტუტი, „ჟალგირისი“ — ასკ.

13 სექტემბერი — დასვენების დღე.

14 სექტემბერი — „კუნცევო“ — ასკ, „დაუგავა“ — „ბურევესტნიკი“ (თბ), „ალუმინსტროი“ — „ბურევესტნიკი“ (კრ.), საავიაციო ინსტიტუტი — „ჟალგირისი“.

15 სექტემბერი — „ბურევესტნიკი“ (კრ.) — „დაუგავა“, ასკ — საავიაციო ინსტიტუტი, „ბურევესტნიკი“ (თბ) — „კუნცევო“, „ჟალგირისი“ — „ალუმინსტროი“.

# წყალზე ცხარე ბრძოლებია

„ა“ კლასში გადასასვლელი საგზურის მაძიებელთა ტურნირის მეორე დღეს პირველი შეხვედრა ლენინგრადის „ბურევესტნიკისა“ და გომელის „ვოდნიკს“ შორის გაიმართა. გმირი ქალაქის წყალბურთელებმა აშკარად დაჯაბნეს მეტოქენი. „ვოდნიკის“ სპორტსმენები თავის ქალაქსა და ოლქში წყალბურთის პიონერები არიან და მათი სწრაფვა — კარი შეაღონ დიდ სპორტში, მხოლოდ მხარდაჭერასა და გამხნევებას იმსახურებს. ლენინგრადელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 16:1 (5:0, 3:1, 4:0, 4:0).

მეორე მატჩში ტაშკენტის „ბურევესტნიკი“ და მისი ალმაათელი თანაკლუბელები თამაშობდნენ. ბრძოლა დაძაბული იყო. ანგარიში სულაც არ ასახავს ამ მეტად საინტერესო, დრამატული პერიპეტიებით აღსავსე თამაშს. ალმაათელებს უფრო ხშირად უტევდნენ, მეტოქეთა კარის მისადგომებთან უამრავ საგოლე მომენტებს ქმნიდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდნენ ინსაროვი და პოგორელოვი, რომელთა ნეიტრალიზება ტაშკენტელებმა ვერა და ვერ მოახერხეს. ტაშკენტელთა კაპიტანი, საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატი სილანტიევი ამჯერად გამთამაშებლის როლში მოგვევლინა. იგი დინჯად ანაწილებდა გადაცემებს და თანაგუნდელები ხან ერთი ფლანგიდან გაჰყავდა გარღვევაზე, ხან მეორედან. კალინიჩენკო და ვესელკოვი კარგად იყენებდნენ სილანტიევის გადაცემებს და უშეცდომოდ ურტყამდნენ კარში. ამ შეხვედრაში ტაშკენტელებმა იზეიმეს გამარჯვება 5:2 (1:0, 2:0, 0:2 2:0).

თბილისელები კიეველ თანაკლუბელებს ეთამაშნენ. მასპინძლები ხშირად უშვებდნენ შეცდომებს, აშკარად არღვევდნენ სათამაშო დისციპლინას, გაჭირვებით დაუფლებულ ბურთს უნიათო გადაცემებით კარგავდნენ. კურტანიძე, რომელმაც თავისი ფიზიკური მონაცემებითა და ტაქტიკური ალღოთი სპეციალისტთა ყურადღება მიიპყრო, ხშირად არღვევდა თამაშის გეგმას, სწორედ ვერ ირჩევდა ადგილს, ამაოდ ცდილობდა ცენტრალური თავდამსხმელის ადგილის დაკავებას კარის მისადგომებთან. მისთვის ასეთი ამპლუა კი ნაადრევია. კურტანიძეს ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა სჭირდება ფიზიკური ძალისა და ტექნიკური არსენალის სრულსაყოფად. საერთოდ, მიზანშეწონილი იქნება თუ უკანა ხაზში თამაშს ცდის, ამით იგი წყალბურთში შრომის ფასს გაიგებს.

გუნდის სული და გული თ. უშანგიშვილია. იგი ოთხი პერიოდის განმავლობაში შეუცვლელად თამაშობს, ყველგან ასწრებს. იბრძვის გააზრებულად, ბურთის ფლობისას მუდამ პარტნიორის ძიებაშია. მისი ყოველი მოქმედება გუნდის ინტერესებს ემსახურება.

თბილისელები მესამე პერიოდამდე ვერ დაწინაურდნენ. მესამე პერიოდის დასაწყისში უშანგიშვილმა გაიყვანა გუნდი წინ. ეს ასე მოხდა: კარის მისადგომთან მას მჭიდროდ მეურვეობდა ზიმენკო. უშანგიშვილმა პარტნიორის გადაცემა მარჯვენა ხელით მიიღო დაამუშავა ბურთი და როდესაც ზიმენკო უშანგიშვილის მარჯვენას წაეტანა, მეკარესთან ზურგით მდგომმა თბილისელმა ბურთი მოულოდნელად მარცხენა ხელით ტყორცნა კარში.

მანვე მალე მეორე გოლი გაიტანა. ამჯერად საყვარელიძემ გარღვევაზე კარგად გაიყვანა ლობჟანიძე. უშანგიშვილი მთელი სისწრაფით გაემართა მარჯვნიდან და როდესაც იგი კარის მარჯვენა ძელის გასწვრივ აღმოჩნდა, ზედამართა, ლობჟანიძის მიერ მძლავრად მოწოდებული ბურთი მიიღო და შეუჩერებლივ გაგზავნა კარის კუთხეში.

მეოთხე პერიოდში თამაშმა უფრო მკვეთრი ხასიათი მიიღო. თბილისელები ოთხმეტრიანით დაჯარიმდნენ. ოლსოროდოვის მძლავრი ტყორცნა მალანიამ კუთხურზე მოიგერია, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ იმავე მალანიამ კუთხურზე მიღებული ბურთი გაიტანა საკუთარ კარში. საბოლოო ანგარიშია 5:3 თბილისელთა სასარგებლოდ.

სპეციალისტთა აზრით, თბილისელები ამჯერად საკუთარ მოედანზე ვერ არჩევნებენ ჩვეულ თამაშს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ნორჩი კურტანიძის შეცდომები. უფრო ხშირად და გაუმართლებლად ცოდავენ მისი უფროსი ამხანაგები — მეტრეველი და განსაკუთრებით მოშიაშვილი. მათავიწყდებათ, რომ წყალბურთი ეს არის კოლექტიური თამაში, რომ ბურთის დაუფლება გუნდის ყველა მოთამაშის უდიდესი ფიზიკური ენერგიის დახარჯვას მოითხოვს, რომ მოთამაშეს არა აქვს უფლება თავისი გამოჩენის მიზნით ტყორცნოს ბურთი კარში, როცა არაა დარწმუნებული ამ ტყორცნის აუცილებლობაში. მოთამაშე ფასდება თავისი მოქმედების საბოლოო შედეგით და ეს გუნდის თამაშის საერთო გეგმას უნდა ეფარდებოდეს. მეტრეველმა და მოშიაშვილმა ლენინგრადელებთან და კიეველებთან შეხვედრაში რამდენჯერმე გაბედეს შორი მანძილიდან კარში დარტყმით „გამოეჩინათ“ თავი, სადაც არავითარი გამართლება არ ქონდა. ამავე დროს ისინი ცუდად მეურვეობენ მეტოქეებს, ეპიდავებიან და ამ ჭიდილში მიღებული ჯარიმებით აზარალებენ თავიანთ გუნდს.

უნდა ვუსაყვედუროთ მწვრთნელ ზ. ჩაჩავასაც. იგი ზედმეტად ნერვიულობს, რაც გუნდსაც გადაეცემა ხოლმე. მისი ვალია დაიოკოს გრძნობები და ამით მოთამაშეთა ემოციები აღკვეთოს.

მესამე ტურში თბილისელები ტაშკენტელ თანაკლუბელებს შეხვდნენ. ბრძოლა მეტად მეუპოვარ ხასიათს ატარებდა. მეოთხე დასკვნითი პერიოდისათვის ანგარიში იყო 4-4. საბოლოოდ თბილისელებმა შეძლეს ძალების მობილიზება და დაამარცხეს მეტოქე ანგარიშით 8:6. მასპინძლებმა დარჩენილი შეხვედრების მიუხედავად, გაინაღდეს „ა“ კლასის საგზური. კიეველებმა (14-2) მოუგეს გომელის წყალბურთელებს.

**ვ. ბარნაბიშვილი,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# სასწავლო წლის მიეძღვნა

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის მე-4 მუსიკალური სასწავლებლის თანამშრომლებმა ექსკურსია მოაწყეს. პედაგოგებმა დაათვალიერეს ჯვრის მონასტერი, შემდეგ კი მცხეთას ესტუმრნენ, სადაც ნახეს სვეტიცხოველი. ექსკურსანტები საგურამოში იყვნენ ი. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. ექსკურსიაში მონაწილეობდა სასწავლებლის 38 თანამშრომელი.

**გ. დოლენჯაშვილი.**

# [illegible]

**ზუგდიდი**

დოსააფის საქალაქო კომიტეტმა ჯვარზენში ჩაატარა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობა ენგურჰესის ნაკრებმა. პირადში უძლიერესი იყო მ. კალანჯიანი (ზუგდიდის რაიონი).

**ზ. ალშიბაია.**

# ახალი ბაზები

ახალ სასწავლო წელს მომზადებული შეხვდა ზუგდიდის საშუალო სკოლის (დირექტორი რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი გ. ხხოლარია) ზაფხულის განმავლობაში აქ კაპიტალურად შეკეთდა ძველი სპორტული მოედნები, მოეწყო ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის ახალი მოედნები, მძლეოსნური სექტორები. საკმაო რაოდენობით შეიძინეს სპორტინვენტარი.

## ფავორიტები, გოლები, ქულები

კიროვაბადის „დინამოს“ ფეხბურთელებს, ისევე როგორც საკავშირო ჩემპიონატის სხვა აუტსაიდერებს ერთი კონკრეტული ამოცანა აქვთ: დააღწიონ თავი სახიფათო ზონას და შეინარჩუნონ გაისად „ა“ კლასის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება. მაგრამ ერთია ამოცანა და სულ სხვაა ამ ამოცანის შესრულების ხარისხი, მისი, ასე ვთქვათ, რეალურობა. კიროვაბადელები 5 სექტემბერს თამაშობდნენ ჩემპიონატის ლიდერთან და ცხადია, ამ შეხვედრისაგან ისინი კარგს არაფერს მოელოდნენ, მითუმეტეს, რომ კიევის „დინამო“ კიროვაბადის გუნდს მასპინძლობდა. და მაინც, უნდა ითქვას, რომ აუტსაიდერმა მისთვის საპატიო შედეგს მიაღწია — მატჩი მინიმალური ანგარიშით წააგო — 0:1. ეს ერთადერთი ბურთი მე-5 წუთზე გაიტანა პუზაჩმა.

ერთადერთი ბურთი იქნა გატანილი მინსკის „დინამოსა“ და დონეცკის „შახტიორის“ შეხვედრაშიც, რომელიც ბელორუსიის დედაქალაქის ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა. პირველ ნახევარში უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო, მაგრამ ამ უპირატესობამ რეალური გამოხატვა ვერ ჰპოვა. სამაგიეროდ მეორე ტაიმის 53-ე წუთზე მინსკელმა ადამოვმა გაიტანა ბურთი, რომელიც გამარჯვებისთვის საკმაოდ საკმარისი აღმოჩნდა.

„ჩერნომორეცმა“ ბოლო მატჩებში გული გაუხარა თავის გულშემატკივრებს. ოდესელებმა რამდენიმე ლამაზი მოგებით საგრძნობლად გაიუმჯობესეს მდგომარეობა და თავი სატურნირო ცხრილის ზედა ნახევარში ამოჰყვეს. მორიგ ტურში კი ოდესელი ფეხბურთელები დამარცხდნენ. მათ ფარ-ხმალის დაყრა მოუხდათ გუნდთან, რომელსაც ბოლო ხანებში არ წყალობს ბედი არც საკავშირო ჩემპიონატში და არც თასის გათამაშებაში — ბაქოს „ნეფტჩისთან“. აზერბაიჯანელებმა მეტოქე მისსავე მოედანზე დაამარცხეს ანგარიშით — 2:1. მაგრამ ამ მატჩის დასაწყისში, უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო. 27-ე წუთზე ბოსიმ დააწინაურა კიდეც „ჩერნომორეცი“. სტუმრები გააქტიურდნენ II ნახევარში. 48-ე წუთზე შევჩენკომ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო 52-ე წუთზე რახმანოვმა გადამწყვეტი

## ჩემპიონატი ფეხბურთი -68

ბურთი გაიტანა.

ამ დღეს მასპინძელი ლენინგრადშიც დამარცხდა. ლუგანსკის „ზარიას“ ახალგაზრდა თავდამსხმელმა ბ. სტრელცოვმა 41-ე წუთზე გაიტანა ბურთი, რომელმაც „ზარიას“ საჭირო 2 ქულა მოუტანა.

მოსკოვის „ტორპედომ“ ბოლო წარმატებებით საიმედოდ დაიმკვიდრა ადგილი პირველ სამეულში. ახლა იგი, თუ შეიძლება ასე ითქვას, უკეთესი მომავლისათვის ფიქრობს. ავტოქარხნელთა მორიგი „მსხვერპლი“ გახლდათ როსტოვის ასკ. ანგარიში მე-6 წუთზე გახსნა მოსკოველმა მიხაილოვმა, ხოლო სტრელცოვმა უზუსტესი დარტყმით თავისი გუნდის გამარჯვება კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადა. სხვათა შორის, ეს ავტოქარხნელის მიერ გატანილი მე-13 ბურთია წლევანდელ ჩემპიონატში.

### I „ა“ კლასი ჯგუფი

# მეკარეებმაც და მცველებმაც

**კუიბიშევი. „დინამოს“ სტადიონი. 6 სექტემბერი.**

**„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 1:1 (0:0).**

**„კრ. სოვეტოვი“:** კოტლიაროვი, გორშკოვი, სახაროვი, კაპსინი, ვალკოვი (მაიოროვი), კადიროვი, პეტროვი, სტარკოვი, კაზაკოვი, ჟუკოვი, ფეტისოვი.

**„ტორპედო“:** კოტრიკაძე, წვერავა, წივწივაძე, შერგელაშვილი, ჩხაიძე, ებრალიძე, ასიტაშვილი, ზარია, ხერხაძე, ვეკუა, ჭითანავა.

**მსაჯი ვ. ტოლჩინსკი (ალმა-ათა).**

**დუბლიორები — 1:1.**

პირველ რიგში ქებით უნდა მოვიხსენიოთ მეკარეები, უფრო გამოცდილი კოტრიკაძე და მასთან შედარებით ახალბედა კოტლიაროვი. სწორედ მათი მაღალი ოსტატობა და თავგანწირვა გახდა იმის მიზეზი, რომ გუნდებმა სატურნირო ცხრილში თითო ქულა ჩაიწერეს და ასე თუ ისე, გაიუმჯობესეს მდგომარეობა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს მცველებმაც, თუმცა სტუმრებს გაცილებით მეტი ჯაფა ადგათ, ვიდრე მასპინძლებს. მაგრამ ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ამის მიზეზი კუიბიშევის თავდამსხმელთა გააზრებული და აქტიური თამაში ყოფილიყო. უბრალოდ, მასპინძლები შეტევებს უფრო მეტი ძალებით აწარმოებდნენ (3—4 თავდამსხმელით), სტუმრები კი ნაკლებით.

მატჩის პირველმა ნახევარმა უძლიერესი ვერ გამოავლინა. შესვენების შემდეგ კი მეტოქეები შესამჩნევად გააქტიურდნენ. აი, სწორედ აქ მოუხდათ მეკარეებს თავიანთი მაღალი ოსტატობის ჩვენება.

63-ე წუთზე სრულიად უხიფათო სიტუაციაში, ქუთაისელთა მცველმა ებრალიძემ ბურთი თავის კარში გაგზავნა. გაოგნებულმა კოტრიკაძემ მხოლოდ გააყოლა თვალი ბურთის საბედისწერო ტრაექტორიას — 1:0. მაგრამ მასპინძლების ზეიმი ხანმოკლე გამოდგა. ორიოდე წუთის შემდეგ ტორპედოელთა თავდამსხმელმა ვეკუამ წონასწორობა აღადგინა — 1:1.

ამ მატჩში ერთი უსიამოვნო ფაქტი მოხდა. მსაჯმა ვ. ტოლჩინსკიმ უხეშობისთვის მოედნიდან გააძევა ტორპედოელი ხერხაძე. სამწუხაროდ, ბრძოლაში დაუშვებელ მეთოდებს მასპინძლებიც მიმართავდნენ.

**ნ. ოდინცევი.**

# გამძლეობა არ ეყოთ



თბილისის სპორტკავშირის საქალაქო სპორტულ ბაზაზე დამთავრდა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობა ახალგაზრდა ფრენბურთელთა გუნდებს შორის. ის გარემოება, რომ ტურნირში 8 გუნდის ნაცვლად მხოლოდ სამი — თბილისის, ალმა-ათისა და ხარკოვის გუნდები მონაწილეობდნენ, იმაზე მეტყველებს, რომ პირველობის ორგანიზატორებმა სასურველი დრო როდი შეარჩიეს შეჯიბრების ჩასატარებლად (მონაწილეთა უმრავლესობა ხომ სტუდენტებია).

პირველობის ბედი გადაწყდა შეჯიბრების ბოლო დღეს, როცა ერთმანეთის პირისპირ დადგნენ თბილისელები და ალმაათელები. პირველი პარტია მასპინძლებმა დამაჯერებლად დაიწყეს და მალე გამარჯვებაც მოიპოვეს 15:10. მაგრამ მეორე პარტიაში წარმატება სტუმრებს ხვდათ წილად 15:6. დაძაბულად წარიმართა მესამე პარტია, რომელიც ალმაათელებმა მოიგეს — 16:14.

იგრძნეს რა დამარცხების საშიშროება ქართველმა ფრენბურთელებმა მაქსიმალურად მოინდომეს და თავგანწირული თამაშით შეძლეს მეოთხე პარტიის მოგება 15:6. ამ პარტიაში მასპინძელთა უპირატესობა თამაშის ყველა ხაზში უდავო იყო. როგორც ჩანს, თბილისელებმა ბევრი ფიზიკური და ნერვული ენერგია დახარჯეს, რის გამოც ადვილად წააგეს გადამწყვეტი პარტია — 5:15. საბოლოოდ ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს ალმაათელმა იუნიორებმა. II ადგილზე გავიდნენ თბილისელები.

გამარჯვებულთაგან უნდა აღინიშნოს ნ. რაგოზინის თამაში, რომელიც ამას წინათ დამთავრებული სსრ კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორის ალმა-ათის „ბურევესტნიკის“ ძირითად შემადგენლობაში გამოდის.

• • •

**სურათზე:** ალმა-ათისა და ხარკოვის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.

4 სექტემბერს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

### ქობულეთიდან...

ადგილობრივმა „შუქურამ“ მიიღო ჭიათურის „მაღაროელი“. უპირატესობა დასაწყისშივე ხელთ იგდეს მასპინძლებმა, მაგრამ ანგარიშის გახსნა მათ დიდხანს ვერ შეძლეს. მე-20 წუთზე შაფათავამ ზუსტად დაკიდა ბურთი ჭიათურელთა კარის გასწვრივ და ჯიქიამ თავური დარტყმით გაიტანა გოლი. ათიოდე წუთის შემდეგ ჭიათურელებმა კიდევ ერთხელ დაიწყეს თამაში ცენტრიდან. გოლის ავტორი ამჯერად შაფათავა გახლდათ. 2 წუთის შემდეგ კი ანგარიში 3:0 იყო. მესამე ბურთის ავტორია ჯიქია. მატჩის პირველი ნახევრის დამთავრებას 1 წუთი აკლდა, როცა ჭიათურელებმა პირველი და ამ მატჩში ერთადერთი საპასუხო გოლი გაიტანეს. მეორე ნახევარში ორივე გუნდს ჰქონდა ანგარიშის გაზრდის შესაძლებლობა. მაგრამ ვერ გამოიყენეს ისინი. შეხვედრა დამთავრდა ქობულეთელთა გამარჯვებით 3:1.

**ლ. ტრაპაიძე.**

### თელავიდან...

ეს დღე ზეიმით აღნიშნეს ქალაქის მშრომელებმა. თელავში ახალ კეთილმოწყობილ სტადიონზე პირველი კალენდარული მატჩი გამართა „კახეთმა“. მისი მეტოქე იყო ზუგდიდის „ენგური“. მასპინძლებმა აღმავლობით დაიწყეს მატჩი, მაგრამ შემდგომში თამაში გათანაბრდა. 87-ე წუთზე, „კახეთის“ ცენტრალურმა მცველმა ქელეხიძემ განახორციელა ლამაზი გარღვევა მარცხენა ფლანგიდან და ჩააწოდა ბურთი იოსებაშვილს. ამ უკანასკნელმა ძლიერი დარტყმით ბურთი ზუგდიდელთა კარისკენ გაგზავნა, მაგრამ სტუმრების მეკარის აკრობატულმა ნახტომმა „ენგური“ დამარცხებას გადაარჩინა. [illegible] შეხვედრა, ისევე როგორც [illegible] ველ წრეში, დამთავრდა [illegible] 0:0.

**ს. ოხანაშვილი.**

### III ზონა

**არმავირი.** ადგილობრივმა „ტორპედომ“ თავის მოედანზე მიიღო რუსთავის „მეტალურგი“. დაძაბული ორთაბრძოლა დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 2:0. ამ მარცხის მიუხედავად, „მეტალურგის“ ფეხბურთელები სატურნირო ცხრილში VI ადგილს ინარჩუნებენ.

დანარჩენი შეხვედრების შედეგები ასეთია: „სპარტაკი“ (ორიოლი) — „ხიმიკი“ (ბალაკოვი) 0:0, „შრ. რეზერვები“ (კურსკი) — „ენერგია“ (ვოლჟსკი) 1:0, „სპარტაკი“ (ბელგოროდი) — „ტრუდი“ (ენგელსი) 1:1.

### „ბ“ კლასი

### IV ზონა

**დერბენტი.** ადგილობრივი „უროჟაი“ და სოხუმის „დინამო“ სატურნირო ცხრილში ერთმანეთის გვერდით იმყოფებიან. უფრო ზუსტად კი დერბენტელ ფეხბურთელებს XII ადგილი უკავიათ, სოხუმელებს — XIII. ცხადია, მეტოქეების შეხვედრას ამ მხრივაც პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. სამწუხაროდ, დინამოელებმა სუსტად ჩაატარეს მატჩი და მოედანი დამარცხებულებმა დატოვეს. „უროჟაიმ“ გაიმარჯვა — 3:0.

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა: „ირისთონი“ (მოზდოკი) — „ლერნაგორცი“ (კაფანი) 2:1, „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) — „უროჟაი“ (კრიმსკი) 1:0.

## საქართველოს ჩემპიონატი

### გათამაშების ცხრილი
### I ჯგუფის II ქვეჯგუფი
მდგომარეობა 8 სექტემბრისათვის

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) | 19 | 15 | 3 | 1 | 41—13 | 33 |
| „შრ. რეზერვები“ (გარდაბანი) | 18 | 14 | 2 | 2 | 34—14 | 30 |
| „მეტალურგი“ (რუსთავი) | 21 | 12 | 2 | 7 | 40—25 | 26 |
| „მევენახე“ (ვაზისუბანი) | 19 | 9 | 5 | 5 | 37—29 | 23 |
| „თრიალეთი“ (წალკა) | 19 | 8 | 6 | 5 | 24—19 | 22 |
| „არაგვი“ (დუშეთი) | 18 | 9 | 2 | 7 | 25—28 | 20 |
| „ზემო ქართლი“ (ხაშური) | 17 | 5 | 7 | 5 | 20—18 | 17 |
| „აგული“ (ახალქალაქი) | 19 | 7 | 3 | 9 | 23—27 | 17 |
| „ბახტრიონი“ (ახმეტა) | 19 | 6 | 3 | 10 | 20—23 | 15 |
| „ელმავალმშენი“ (თბილისი) | 19 | 7 | 1 | 11 | 23—35 | 15 |
| „ვარძია“ (ასპინძა) | 19 | 6 | 2 | 11 | 21—32 | 14 |
| „შირაქი“ (წითელწყარო) | 18 | 7 | 0 | 11 | 23—39 | 14 |
| „გარისი“ (თეთრი წყარო) | 19 | 6 | 2 | 11 | 21—44 | 14 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ (ხობი) | 18 | 10 | 6 | 2 | 30—15 | 26 |
| „განთიადი“ (აბაშა) | 17 | 8 | 7 | 2 | 21—8 | 23 |
| „სალხინო“ (გეგეჭკორი) | 15 | 9 | 3 | 3 | 37—12 | 21 |
| „ტორპედო“ (ქუთაისი) | 17 | 7 | 7 | 3 | 22—16 | 21 |
| „განახლება“ (ადიგენი) | 17 | 8 | 5 | 4 | 22—18 | 21 |
| „დინამო“ (ოჩამჩირე) | 17 | 5 | 8 | 4 | 12—12 | 18 |
| „სამგურალი“ (წყალტუბო) | 15 | 6 | 4 | 5 | 20—18 | 16 |
| „იმერეთი“ (თერჯოლა) | 16 | 5 | 5 | 6 | 22—16 | 15 |
| „ელექტრიკოსი“ (ქუთაისი) | 17 | 4 | 7 | 6 | 16—18 | 15 |
| „ჩიხურა“ (საჩხერე) | 18 | 4 | 7 | 7 | 15—29 | 15 |
| „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) | 16 | 3 | 6 | 7 | 11—15 | 12 |
| „რიწა“ (გუდაუთა) | 14 | 3 | 5 | 6 | 19—32 | 11 |
| „საირმე“ (მაიაკოვსკი) | 17 | 2 | 6 | 9 | 16—34 | 10 |
| „კოლხეთმშენი“ (ფოთი) | 16 | 3 | 2 | 11 | 18—32 | 8 |

# ზუგდიდელებმა ყველას აჯობეს

გორის ბამბეულის კომბინატის სტადიონზე სამ დღეს გრძელდებოდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ახალგაზრდობის I რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობა მძლეოსნობაში. ასპარეზობაში, რომელიც ლენინური კომკავშირის 50 წლისთავს მიეძღვნა, მონაწილეობდა აფხაზეთის, აჭარის, აგრეთვე მახარაძის, ზუგდიდის, ტყიბულის, სამტრედიის, წულუკიძის, გარდაბნის, თელავის, გორის, სიღნაღის და სხვა რაიონების 250-მდე სპორტსმენი.

ტურნირი დამთავრდა ზუგდიდელთა გამარჯვებით. მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს აჭარისა და აფხაზეთის წარმომადგენლებმა.

ვაჟებიდან ორი გამარჯვება მოიპოვა აჭარელმა თ. აფხაზავამ. მან მოიგო 100 და 200 მეტრზე რბენა (11,0 და 22.7). სიმაღლეზე ხტომაში როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა არავის დაუთმო სოფლის სპორტსმენთა შორის სსრ კავშირის რეკორდსმენმა, ქობულეთელმა, სპორტის ოსტატმა შ. ართმელაძემ — 197. მანვე მოიგო სიგრძეზე ხტომაც 695 სმ. 400 მეტრზე რბენაში (50.4 წამი) ბადალი არ ჰყავდა სპორტის ოსტატობის კანდიდატს ზუგდიდელ ჯ. სხულუხიას. ქალებში ეს დისტანცია ყველაზე სწრაფად გაირბინა აფხაზეთის წარმომადგენელმა ა. ორლოვამ. სიმაღლეზე ხტომაში ჩემპიონობაც მან დაისაკუთრა — (145 სმ). 800 მეტრზე წულუკიძელმა ვ. ქავზინაძემ იმარჯვა — 2.01,3...

ასპარეზობის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრები, რომელიც რესპუბლიკის სპორტულ ღირსებას დაიცავს ჩვენი ქვეყნის სოფლის ახალგაზრდობის საკავშირო თამაშებში.

**ი. თევდორაშვილი.**
**(ჩვენი კორ.).**

# სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პროტესტი

როგორც ცნობილია, ფეხბურთის ასოციაციების ევროპული კავშირის (უეფა) საგანგებო კომიტეტმა, 30 აგვისტოს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა ახალი, თვითნებური კენჭისყრა მოაწყო. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ ამ უკანონო მოქმედების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა. განცხადებაში, რომელიც 4 სექტემბერს უეფა-ს გაეგზავნა, ნათქვამია: „საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილება უეფა-სა და ფიფა-ს წესდებათა უხეში დარღვევაა. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია ამ უმსგავსო მოქმედების წინააღმდეგ პროტესტს აცხადებს და თვლის, რომ ეს იყო უეფა-ს წევრების მიმართ დაუშვებელი დისკრიმინაცია. სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია მოითხოვს საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ გაუქმებას და ზემოხსენებული შეჯიბრებათა ჩატარებას ძველი კენჭისყრის საფუძველზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია იძულებული იქნება მიმართოს თხოვნით ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას, გადასინჯოს ეს უკანონო გადაწყვეტილება“.

საინტერესოა რატომ გადაწყვიტა უეფა-მ ახალი კენჭისყრის ჩატარება? როგორც გამოირკვა, ყველაფერი შოტლანდიის კლუბის „სელტიკის“ მოთხოვნით მოხდა. ამ კლუბის ხელმძღვანელებმა „სელტიკის“ მდგომარეობა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ კალენდარულ მატჩში უნგრეთის „ფერენცვაროშთან“ არასახარბიელოდ ჩათვალეს. მათ მიზნად დაისახეს გათამაშების მეორე წრეში გასვლა და ამიტომაც ხელახალი კენჭისყრა მოითხოვეს, საბაბად კი... ჩეხოსლოვაკიის ამბები მოიმიზეზეს. კი მაგრამ რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონდეს მას საერთოდ ფეხბურთთან და კერძოდ, ევროპულ თასებთან?

უეფა-ს ზოგიერთმა ხელმძღვანელმა „სელტიკის“ წინადადება ამ ორგანიზაციის წევრთა უმრავლესობის თანხმობის გარეშე მიიღო (კონკრეტულად უეფა-ს ვიცე-პრეზიდენტის ლ. ბარჩისა და ფიფას ვიცე-პრეზიდენტის ვ. გრანატკინის თანხმობის გარეშე). განა გასაკვირია, რომ ყველაფერმა ამან, სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის პროტესტი გამოიწვია? ახალი კენჭისყრის წინააღმდეგი არიან ბულგარეთის, უნგრეთისა და პოლონეთის ფეხბურთის ხელმძღვანელებიც. ასე მაგალითად, პოლონეთის ფეხბურთის ასოციაციის გენერალურმა მდივანმა ლ. რილსკიმ უეფა-ს საგანგებო კომიტეტის გადაწყვეტილებას უწოდა დაუსაბუთებელი და პროვოკაციული.

სამაგიეროდ კმაყოფილი არიან იმ გუნდების მწვრთნელები, რომლებსაც უკეთესი კენჭისყრა ხვდათ. „ახლა ჩვენ ადვილად მოვხვდებით მეორე წრეში და კარგ შემოსავალსაც მივიღებთ“, — განაცხადა შვეიცარიის „ციურიხის“ ხელმძღვანელმა ე. ნაგელმა. ამ გუნდს თავდაპირველად უნდა ეთამაშა კიევის დინამოელებთან. ახალი კენჭისყრით კი მათი მეტოქეა დანიის „აკადემისკი“.

აღფრთოვანების სიტყვები წარმოთქვა კორესპონდენტთან საუბარში მილანის მენაჯერმა ფ. კარარომ: „კმაყოფილი ვარ, რომ თამაში შვეციის „მალმესთან“ მოგვიწევს. ეს, რა თქმა უნდა, არ არის „ლევსკი“.

უეფა-ს ზოგიერთი მოღვაწის მოქმედება ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. სწორედ ამიტომ, ფეხბურთის კავშირმა დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს თავისი შეცდომა.

ა. კაჩალოვი,
საკდესის კორესპონდენტი.

## წესდება უნდა დავიცვათ

„ყოველ შეჯიბრებაში უნდა დავიცვათ სპორტული პრინციპი. სწორედ ეს დაავიწყდა ფეხბურთის ასოციაციების ევროპული კავშირის ზოგიერთ ხელმძღვანელს, — განაცხადა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მოსკოვის „დინამოს“ მწვრთნელმა კ. ბესკოვმა. — დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ ვის შევხვდებით ჩვენ გათამაშების პირველ ეტაპზე. მთავარია, რომ უეფა-მ ვერ დაიცვა თავისი წესდება“.

„ჩვენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ წრეში „ციურიხთან“ შესახვედრად ვემზადებოდით. და აი, სრულიად მოულოდნელად, გავიგეთ, რომ კენჭისყრა შეცვლილა. რატომ? — კანონიერ შეკითხვას სვამს კიევის „დინამოს“ მწვრთნელი ვ. მასლოვი. — ჩვენ აღშფოთებულები ვართ უეფა-ს არასწორი გადაწყვეტილებით და მოვითხოვთ მის გადასინჯვას“.



# ლუგანო — სტუმრების მოლოდინში

XVIII საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლებს შვეიცარიის აგარაკი ლუგანო, სადაც მოჭადრაკეთა ეს დიდი ფორუმი 17 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდე გასტანს.

ლუგანოს მუნიციპალიტეტი კარგა ხანია შეუდგა მზადებას სტუმრების მისაღებად. მოჭადრაკეთა ხარბიელი იქნება „პოდილიონე კონცას“ დარბაზი. ფირმამ „ოტელ-პლანმა“ გამოაცხადა ლუგანოს სასტუმროებში ბინებზე შეკვეთების მიღება. საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადის დღეებში, სპეციალური ბიულეტენის ექვს ნომერს გამოცემს.

როგორც ჩანს, XVIII ოლიმპიადა ყველაზე ხალხმრავალი იქნება: საორგანიზაციო კომიტეტის ცნობით, 54 ქვეყანამ გამოთქვა მონაწილეობის სურვილი. აქამდე ყველაზე მეტი მონაწილე ჰყავდა XVI ოლიმპიადას (ჰავანა, 1966 წ.) — 52. ოლიმპიადაში პირველად ითამაშებენ კოსტა-რიკის, ახალი ზელანდიის, სინგაპურისა და ადორას გუნდები.

ოლიმპიადის მონაწილენი 7 ჯგუფად დაიყოფიან. თვითეული ჯგუფიდან ფინალურ ტურნირში ორ-ორი გამარჯვებული გუნდი ითამაშებს. აქ მათ გადაჰყვებათ ჯგუფებში ერთმანეთთან შეხვედრის შედეგი, რაც საგრძნობლად შეამცირებს საორგანიზაციო ხარჯებს. ფინალში გამარჯვებულ გუნდს გადაეცემა ოლიმპიური ჩემპიონის ოქროს მედლები და ჰამილტონ-რასელის გარდამავალი თასი, რომელიც, სხვათა შორის, 1952 წლიდან მოსკოვს ბინადრობს.

ოლიმპიადის მთავარ არბიტრად ფიდე-მ დაამტკიცა ცნობილი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, ავსტრიელი დორაზილი.

საორგანიზაციო კომიტეტმა თითქმის ყველა ქვეყნის განაცხადი მიიღო. ცნობილია გუნდების შემადგენლობაც (თვითეულ გუნდში 4 ძირითადი და 2 სათადარიგო წევრია). აი, ზოგიერთი გუნდიც:

**სსრ კავშირი:** პეტროსიანი, სპასკი, კორჩნოი, ტალი, შტეინი, გელერი;

**აშშ:** ფიშერი, რეშევსკი, ევანსი, რ. ბირნი, ბენკო, ლომბარდი. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ფიშერი და რეშევსკი ოლიმპიადაში ერთად დაიცავენ თავიანთი ქვეყნის სპორტულ პრესტიჟს. ზოგიერთი მაინც ეჭვობს ფიშერის მონაწილეობას. საქმე ისაა, რომ იგი უკმაყოფილოა ამერიკელი ჭადრაკის მესვეურებისა, რომლებიც, მისი სიტყვით, პასიურად იქცეოდნენ სუსის საზონათშორისო ტურნირში მომხდარი ინციდენტის დროს.

**ჩეხოსლოვაკია:** კავალეკი, ჰორტი, ფილიპი, პახმანი, სმეიკალი, იანსა.

**იუგოსლავია:** გლიგორიჩი, ივკოვი, მატულოვიჩი, მატანოვიჩი, პარმა, ჩირიჩი.

**გფრ:** უნციკერი, შმიდი, დარგა, პფლეგერი, ჰიუბნერი, ჰეჰტი.

**ინგლისი:** პენროუზი, კოტნაუერი, კლარკი, ლი, კინი, ჰაზმანი.

**ჰოლანდია:** დონერი, რეე, ბაუმესტერი, ლანგევეგი, კუიპერსი, პრინსი.

**ავსტრია:** დიუკშტეინი, პრამესჰუბერი, შტოპლი, იანაინი, კინცელი, ნიდერმეიერი.

**შვეცია:** ბროსტრემი, ნილსონი, ალსონი, იოჰანსონი, კინმარკი, მარტენსი.

**პორტუგალია:** კორდოვილი, სარტინია, დურაო, სანტოსი, პერეირა, პიერო.

**თურქეთი:** სიუერი, უზმანი, იბრაჰიმ ოღლი, ბოისმანი, ბიუკეზკაია, ბილიაპი ან კიულიური.

**პოლონეთი:** გრაბჩევსკი, დოდა, კოსტრო, ბედნარსკი (ორი ადგილი ჯერ ვაკანტურია).

**უნგრეთი:** პორტიში, საბო, ბარცა, ლენდიელი, ჰააგა, ბარცაი.

**ბულგარეთი:** ბობოცოვი, ტრინგოვი, პადევსკი, რადულოვი, პეევი, კოლაროვი.

**რუმინეთი:** გეორგიუ, ჩოკილტია, გიცესკუ, შოოში, რადოვიჩი, პორტიში.

შვეიცარიის გაზეთები ბევრს წერენ XVIII ოლიმპიადაზე, ალიარებენ სსრ კავშირის გუნდის სიძლიერეს, მაგრამ ამასთან აღნიშნავენ, რომ მას სერიოზულ მეტოქეობას გაუწევენ დიდოსტატებით დაკომპლექტებული იუგოსლავიისა და აშშ-ის გუნდებით.

კანადელმა სამთო მოთხილამურემ ნ. გრინმა მსოფლიოში უძლიერესის სახელი წინა სეზონში მოიპოვა, როცა მსოფლიო თასის გათამაშებაში ყველაზე მეტი ქულა დააგროვა. მან წლევანდელი სეზონიც კარგად დაიწყო, მაგრამ შემდეგ, გრენობლის თეთრ ოლიმპიადაში, რომლის შედეგები მსოფლიო თასის მორიგ გათამაშებაშიც შედიოდა, მას ფრანგმა მ. გოიჩელმა გაასწრო. მიზეზი ის გახლავთ, რომ ოლიმპიადამდე გრინმა ფეხი დაიზიანა და გრენობლის ტრასებზე ისე გაბედულად ველარ ეშვებოდა. მსოფლიოს ჩემპიონმა საბოლოოდ მაინც არ შეირცხვინა თავი, ოლიმპიადის შემდგომ ეტაპებზე ბრწყინვალედ იასპარეზა და უძლიერესის სახელი შეინარჩუნა.

ახლა სამთომოთხილამურეების მთავარი იარაღი გადანახულია, მაგრამ გრინი ვარჯიშს როდი წყვეტს. ამჯერად საწყლოსნო თხილამურებს დაუმეგობრდა, თოვლი კი პარიზში მდინარე სენის ტალღებმა შეცვალა. ეს სურათიც სწორედ ამ მდინარეზე ვარჯიშის დროსაა გადაღებული.

## ტალი „თვალდახუჭული“ თამაშობს

კიევში შედგა ერთდროული თამაშის სეანსი დაფაზე დაუხედავად. 10 კაცის წინააღმდეგ მ. ტალმა ითამაშა. ალბათ გაიოცებთ: სსრ კავშირში ხომ თვალდახუჭული თამაშის სეანსი აკრძალულია, რადგან იგი უარყოფითად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე.

და ასეთი სეანსი მაინც გაიმართა. მას მალე ნახავთ... ეკრანზე. საქმე ისაა, რომ სეანსი შედგა კიევის სამეცნიერო-პოპულარული ფილმების ერთ-ერთ პავილიონში. აქ იღებენ სრულმეტრაჟიან ფილმს „ჩვენი გონების საიდუმლოებანი“. დაფაზე დაუხედავად სეანსი ფილმის ერთ-ერთი საინტერესო ეპიზოდია.

სცენარისტმა ე. ზაგდანსკიმ და რეჟისორმა ფ. სობოლევმა ბევრი იფიქრეს, სანამ რომელიმე დიდოსტატს მიმართავდნენ თხოვნით. ბოლოს ტალზე შეჩერდნენ. მსოფლიოს ექსჩემპიონი დათანხმდა თამაშზე.

და აი, შედეგიც, ტალმა 4 პარტია მოიგო, 6 ყაიმით დაამთავრა. თუ გავითვალისწინებთ, რომ სეანსში პირველთანრიგოსნები მონაწილეობდნენ, მაშინ დიდოსტატის „დებიუტმა“ წარმატებით ჩაიარა. საინტერესოა, რომ ტალი არც ერთხელ არ შემცდარა. ნახევარსაათიანი შესვენების შემდეგ, რომელიც, გადაღების დროს მოეწყო ტალმა კონტროლისათვის ზეპირად ყველა 10 პარტია გაიხსენა, ხოლო თამაშის დამთავრებისას ზოგიერთი გააანალიზა კიდეც.

— დაფასთან თამაში მაინც უკეთესია, — თქვა ტალმა — „თვალდახუჭული“ ძნელია საჭადრაკო ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოების შექმნა.

ფილმში ტალი მოგვითხრობს, იმაზეც, თუ როგორ აზროვნებდა თამაშის პროცესში — როგორ იმახსოვრებდა ყველა პოზიციას, ანგარიშობდა ვარიანტებს. ფილმი „ჩვენი გონების საიდუმლოებანი“ ეკრანზე გაისად გამოვა.

## ახალი ამბები

● **როტერდამი,** 5 სექტემბერი. აქ გაიმართა ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის ნაკრებ გუნდებს შორის. ანგარიშით 2:0 (1:0) გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ამავე, მერვე ევროპულ შესარჩევ ჯგუფში ფინალში გასვლისათვის იბრძოლებენ ბულგარეთისა და პოლონეთის ნაკრებები.

● **ტატაბანია,** 5 სექტემბერი: უნგრეთის ამ ქალაქში ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — უნგრეთის ფეხბურთელებმა ამხანაგური მატჩი ჩაატარეს გდრ-ის ოლიმპიურ ნაკრებ გუნდთან. მატჩი დამთავრდა ჩემპიონთა გამარჯვებით 2:1 (1:1). გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს აბრაჰამმა და ფაზეკაშმა.

● **რიგა,** 5 სექტემბერი. რიგის ახალგაზრდა მძლეოსანთა შეჯიბრებაში უკონკურსოდ მოასპარეზე ი. ლუსისმა შუბის ტყორცნაში 91 მეტრი და 6 სანტიმეტრი აჩვენა.

● **ლონგ-ბიჩი,** 5 სექტემბერი. აშშ-ის მოცურავეთა შერჩევითი შეჯიბრების შემდეგ შედგა ამ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები ცურვაში. 32 სპორტსმენიდან დაკომპლექტებულ გუნდს სათავეში უდგას ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიო რეკორდსმენი დ. შოლანდერი. 7 სექტემბერს გუნდი კოლორადო-სპრინგს გაფრინდება და მაღალმთიან აუზში ვარჯიშს შეუდგება.

● **ლაიპციგი,** 5 სექტემბერი. აქ გამართულ მძლეოსანთა შეჯიბრებაში მ. გუმელმა ბირთვის კვრაში გდრ-ის ახალი რეკორდი დაამყარა — 18,43. ეს წლევანდელ სეზონში მეორე შედეგია მსოფლიოში.

● **ნიუ-იორკი,** 5 სექტემბერი. სენსაციური იყო ნიუ-საუტ-ლეიკტაჰოდან მოსული ცნობა, რომ ჯ. ბაჩელორმა დაამყარა აშშ-ს რეკორდი 5 კმ-ზე რბენაში — 13.33,7. ასეთი შედეგი მაღალმთიანეთში ნამდვილად ფანტასტიურია და ასევე გამოდგა იგი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მსაჯებს და რეპორტიორებს ვერ შეუმჩნევიათ, რომ ბაჩელორმა არ ირბინა მთელი ერთი წრე. ამჯერად, სენსაცია არ შედგა.

● **ჰავანა,** 5 სექტემბერი. აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში კვლავ ლიდერობენ საბჭოთა დიდოსტატები ლ. შტეინი (3,5 ქულა) და რ. ხოლმოვი (3 ქულა). IV ტურში კუბის ჩემპიონმა ს. გარსიამ მოუგო საბჭოთა დიდოსტატ ვ. ანტოშინს.

● **კიევი,** 5 სექტემბერი. დიდოსტატი ბორის სპასკი თეთრებით ითამაშებს ფინალის პირველ პარტიას ვ. კორჩნოისთან. ეს გაირკვა დღეს, შეჯიბრების საზეიმო გახსნისას. შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა დიდოსტატმა ს. ფლორმა გამოაცხადა მატჩის რეგლამენტი.

● **ბერლინი,** 5 სექტემბერი. ხალხმრავალი იქნება გდრ-ის დელეგაცია მეხიკოს თამაშებში. თავისი რესპუბლიკის სახელს დაიცავს 249 სპორტსმენი. მათ შორის არიან ევროპის ჩემპიონი და რეკორდსმენი 10 კმ-ზე რბენაში ი. ჰააზე, ქალთა შორის ევროპის ჩემპიონი ბადროს ტყორცნაში კ. შპილბერგი, მსოფლიო რეკორდსმენი ბატერფლაით ცურვაში, 17 წლის რ. მატესი.

● **ვარშავა,** 5 სექტემბერი. პოლონეთის 180 სპორტსმენი იასპარეზებს მეხიკოს ოლიმპიადაში. ეს ქვეყანა გამოვა სპორტის 16 სახეობაში.

● **პარიზი,** 5 სექტემბერი. ფრანგი ოლიმპიელები განაგრძობენ წვრთნას ფონტ-რომეუს მაღალმთიან ბანაკში. 30 სექტემბერს ისინი გაემგზავრებიან მეხიკოს.

● **ციურიხი,** 5 სექტემბერი. შვეიცარია ოლიმპიადაზე წარმოდგენილი იქნება 93 სპორტსმენით, რაც 23-ით მეტია წინა თამაშებში გაგზავნილ გუნდზე.

● **ლაიპციგი,** 5 სექტემბერი. ამ ქალაქის პრიზზე გამართულ მესტენდურეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მაღალი შედეგი 197 ქულა (200-დან) აჩვენა ი. ჰენკემ (გდრ). მეორე იყო გამარჯვებულის თანამემამულე ვ. ტრიუბენბახი, მესამე — ცნობილი პოლონელი მსროლელი ა. სმელჩინსკი.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04210